საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 888/01
02/02/2022

888-01-2-202202021203

ფ/პ გელა გამტკიცულაშვილს
ელ. ფოსტა: gia@twinswinehouse.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2022 წლის 14 იანვრის N426 განცხადება, რომელიც ეხება თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნაფარეულის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული წყალსაცავის (ტბორის) ექსპლუატაციას და გაცნობებთ:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია არაზუსტი ინფორმაცია, კერძოდ, დოკუმენტის მე-3 თავში („საპროექტო ტერიტორიის გარემო პირობები") მითითებულია, რომ წყალაღების წერტილიდან 750 მეტრით ზემოთ განთავსებული ჰიდროსადგურის წყალმიმღების წყლის აღების წერტილამდე მდინარე ლოპოტას სხვა წყალმომხმარებელი არ ყავს. აღნიშნული ინფორმაცია არ შაეესაბამება სინამდვილეს და შესაბამისად, საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემულია ინფორმაცია, რომ „მდინარის იმ ადგილზე, საიდანაც ხდება წყლის აღება, წყლის საშუალო წლიური ხარჯია 105,5 მკ /წმ, მინიმალური წლიური ხარჯია 21 მკ/წმ, მაქსიმალური წლიური ხარჯია 190 მკ/წმ". დაზუსტებას საჭიროებს თუ რა აღინიშნება ტერმინით „მკ/წმ". იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულ ტერმინში იგულისხმება კუბური მეტრი წამში, მოცემული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას და დასაბუთებას, ვინაიდან იგი არ შეესაბამება ამ ტიპის მდინარეებზე გავრცელებულ ჰიდროლოგიური რეჟიმების მაჩვენებლებს და ასევე ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციას კონკრეტულად მდინარე ლოპოტას ჰიდროლოგიურ რეჟიმზე;
- სკრინინგის განცხადებაში ასევე არ არის წარმოდგენილი სამინისტროს 2021 წლის 13 სექტემბრის N9624/01 წერილით მთხოვნილი ინფორმაცია წყლის დანაკარგების და ტბიდან გამომავალი წყლის მოცულობის შესახებ, კონკრეტული პერიოდების გათვალისწინებით, ასევე გავლენა ნიადაგზე, გრუნტზე და მიწისქვეშა წყლებზე. ვინაიდან, სკრინინგის განცხადების მიხედვით, ტბორიდან არხით გამომავალი წყალი გაედინება ძველ არხში და შემდგომ იკარგება მიწაში (ჩაიჟონება გრუნტში), შესაძლოა იგი გავლენას ახდენდეს ნიადაგზე, გრუნტზე ან მიწისქვეშა წყლებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე